ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723088001**
თარიღი:**29/03/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ენვერ ჯაფარიძის სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ენვერ ჯაფარიძე მივლინებულ იქნას ქალაქ ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, 29, 30 მარტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასამართ N1639 (მოსარჩელე – საქართველოს სახალხო დამცველი; მოპასუხე – საქართველოს პარლამენტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო; ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო; სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო;სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო; რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო; მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო) კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, 2023 წლის 29-30 მარტს 2 (ორი) დღით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების წინსწრებით ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი